შეანელე !

Eastern Alliance for Safety and Sustainable Transport.

Together we can save millions of lives.

ქართული ავტოსპორტი საგზაო უსაფრთხოებისთვის - კამპანია შეანელე!

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია, ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ და რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი განათლების სამინისტროსა და ბიზნეს-სექტორთან პარტნიორობით იწყებს ერთწლიან სოციალურ კამპანიას: ქართული ავტოსპორტი საგზაო უსაფრთხოებისთვის - კამპანია შეანელე!

ქართული ავტოსპორტი მრავალი წელია თანამშრომლობს ფონდთან „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“, რომლის ძალისხმევის შედეგად მიღებულ იქნა კანონი წინა სავარძლებზე ღვედების გამოყენებაზე.

ჩვენ ქვეყანაში ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითადი მიზეზი სისწრაფის გადაჭარბებაა, რასაც თან ერთვის ზებრა გადასასვლელებზე ქვეითად მოსიარულეებისთვის გზის არ დათმობის პრობლემა, მაღალი სიჩქარე სკოლისა და ურბანულ ზონებში, ავტომობილის გაუმართაობა და სხვა ფაქტორები. მრბოლელები, რომლებიც ყველაზე მეტად იცავენ მოძრაობის წესებს, აუხსნიან სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებს იმ საფრთხეებს, რომელიც გზებზე ყოველდღიურად ხვდებათ და რომელთა თავიდან ასაცილებლად საჭიროა ის ელემენტარული ცოდნა, რომელიც მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ. კამპანიის მიმდინარეობისას ბავშვები გაეცნობიან უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია მათი მშვიდი და დაცული ყოველდღიურობისთვის. ეს განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი იქნება ავტო და მოტო მრბოლელებისგან, ადამიანებისგან, რომლებიც ყველაზე მეტად ასოცირდებიან სისწრაფესთან.

გაკვეთილები დატვირთული იქნება ფონდის მიერ მომზადებული ვიზუალური და აუდიო მასალით, უსაფრთხოების თემაზე მოეწყობა სახალისო ვიქტორინები და გამოკითხვები, დაწესდება საჩუქრები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა საგანმანათლებლო ხასიათის ბროშურების, რეფლექტორებისა და სხვა მასალების დამზადება, რომელიც შემდეგ დაურიგდება მძღოლებს, ბავშვებს, საგზაო მოძრაობაში მონაწილე სხვა პირებს. სასწავლო წლის ბოლოს ყველაზე აქტიური სკოლები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით.

კომპანიებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ სოციალურ კამპანიაში შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:

სალომე გველესიანი 577482855 e-mail: s.gvelesiaini@rim.ge ,

ქეთი მურუსიძე 598680345, georoadsafety@gmail.com